ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის წევრთა საერთო კრების

ო ქ მ ი

ქ. თბილისი "12" ივნისი, 2012 წელი

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის წევრები: შ.პ.ს. "ინსტიტუტი საქშახტპროექტი" (ს/კ 204851614) – წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ქუთათელაძის სახით (პ/ნ 01030030376), , შ.პ.ს. "ბუნება-91" (ს/კ 211359634) – წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ქუთათელაძის (პ/ნ 01030030376) სახით, ვახტანგ რჩეულიშვილი (პ/ნ 01017007971) (თანახმად 2012 წლის 08 თებერვლის "წილის დათმობის (გადაცემის) შესახებ ხელშეკრულებისა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 120113953) და ივანე ცაგურია (პ/ნ 01008014283), რომელიც ამავდროულად ამხანაგობის თანათავმჯდომარეა.

მოწვეული პირი: ამხანაგობის თანათავმჯდომარე ოლეგი ვადაჭკორია (პ/ნ 01015004392), ქალბატონი მაია გვიმრაძე (პ/ნ 01026002685)

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ე.ს.ა. "თავისუფლების მოედანი – 4"-ის წევრის - შ.პ.ს. "ბუნება-91"-ის დირექტორი თ. ქუთათელაძე.

კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას ესწრება ამხანაგობის ყველა წევრი და კრება უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველ საბუღალტრო, საფინანსო და საბანკო დოკუმენტებზე ამხანაგობის ერთ-ერთი თანათავმჯდომარისათვის ერთპიროვნული ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
2. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის) შესახებ 2007 წლის 16 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ 2009 წლის 13 ივლისის შეთანხმების საფუძველზე ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში მდებარე მულტიფუნქციური კომპლექსის №2ა კორპუსის დაკორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმების შესახებ.

კენჭის ყრის შედეგად კრების დღის წესრიგი დამტკიცებულია ერთხმად:

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხად მოისმინეს:**

თ. ქუთათელაძის ინფორმაცია, ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველ საბუღალტრო, საფინანსო და საბანკო დოკუმენტებზე ამხანაგობის ერთ-ერთი თანათავმჯდომარისათვის

ერთპიროვნული ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ამხანაგობის მიზნის მისაღწევად საჭირო ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ოპტიმიზაციისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ამხანაგობის ამხანაგობის თანათავმჯდომარეს ივანე ცაგურიას მიენიჭოს უფლებამოსილება საფინანსო დოკუმენტებზე ერთპიროვნული ხელმოწერისა.

აზრთა გაცვლის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე ერთხმად დაადგინეს:

1.1 ამხანაგობის მიზნის მისაღწევად მიენიჭოს ე.ს.ა. "თავისუფლების მოედანი – 4"-ის თანათავმჯდომარეს ივანე ცაგურიას ამხანაგობის საბუღალტრო, საფინანსო და საბანკო დოკუმენტებზე ერთპიროვნული ხელის მოწერის უფლებამოსილება ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში მდებარე 2ბ კორპუსის მშენებლობის დაფინანსებასთან და სახელმწიფო გადასახადებთან დაკავშირებულს. ამავდროულად მას არ ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ისეთ ფინანსურ ან სხვა სახის დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება ამხანაგობის თავდებობას, ამხანაგობის ქონების გასხვისებას ან გირავნობას, იპოთეკას, სესხებს და სხვა მსგავს ვალდებულებებს.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხად მოისმინეს:

მაია გვიმრაძის ინფორმაცია ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის) შესახებ 2007 წლის 16 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ 2009 წლის 13 ივლისის შეთანხმების საფუძველზე ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში მდებარე მულტიფუნქციური კომპლექსის №2ა კორპუსის კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის ქ. თბილისის მერიის ს.ს.იპ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმების შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ არქიტექტორმა გადაამუშავა შენობის საპროექტო დოკუმენტაცია ქ. თბილისის მერიის ს.ს.იპ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით. შეიცვალა 2ა კორპუსის ფასადები, ახლაკორექტირებული პროექტი ითვალისწინებს შენობის სართულიანობის გაზრდას.
აზრთა გაცვლის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე ერთხმად დაადგინეს:

2.1 მიენიჭოს ამხანაგობის თანათავმჯდომარეს ივანე ცაგურიას უფლებამოსილება წარადგინოს ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურში ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში მშენებარე 2ა კორპუსის კორექტირებული პროექტი შესათანხმებლად და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

კრების თავმჯდომარე თენგიზ ქუთათელაძე

ამხანაგობის წევრების ხელმოწერები:

1. შ.პ.ს. "ინსტიტუტი საქშახტპროექტი"-ის დირექტორი თენგიზ ქუთათელაძე –
2. ივანე ცაგურია –
3. ვახტანგ რჩეულიშვილი –
4. შ.პ.ს. "ბუნება-91"-ის დირექტორი თენგიზ ქუთათელაძე –

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120616086
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.06.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23 ელ-ფოსტა elene_notary@yahoo.com
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	9638841717812

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თორმეტი წლის ცამეტ ივნისს მე, ნოტარიუსმა ელენე ყიზილაშვილმა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, მ. კოსტავას №23, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების **ივანე ცაგურიას** (დაბადებული: 01.03.1980 წელს თბილისში. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი №4, ბინა №25; პირადი №01008014283) **და ვახტანგ რჩეულიშვილის** (დაბადებული 01.01.1954 წელს თბილისში, მცხოვრები მისამართზე, ქ. თბილისი, ზ. ბოცვაძის ქ. №14, პირადი №01017007971) ხელმოწერების ნამდვილობა 2012 წლის 12 ივნისს შემდგარი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის წევრთა საერთო კრების ოქმის ექვს იდენტურ ეგზემპლარზე.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

ხელმოწერები შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად ხელმომწერების მიერ, მას შემდეგ რაც მათ განემარტათ ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 24,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის. დღგ – 4,32 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად ალნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 30,32 ლარი (ოცდაათი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი)



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120620396
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.06.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23 ელ-ფოსტა elene_notary@yahoo.com
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20285088085412

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19

ორი ათას თორმეტი წლის თოთხმეტ ივნისს მე, ნოტარიუსმა ელენე ყიზილაშვილმა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, მ. კოსტავას №23, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის თენგიზი ჭუთათელაძის (დაბადებული: 11.06.1950 წელს თბილისში. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №19, ბინა 17; პირადი №01030030376, პირადობის მოწმობა №a1411670) სამი ხელმოწერის ნამდვილობა 2012 წლის 12 ივნისს შემდგარი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი – 4"-ის წევრთა საერთო კრების ოქმის ექვს იდენტურ ეგზემპლარზე, რომელთაგან ერთი შეინახება სანოტარო არქივში.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ხელმოწერა შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად ხელმომწერის მიერ, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 36,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის. დღგ – 6,48 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად ალნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 44,48 ლარი (ორმოცდაოთხი ლარი და ორმოცდარვა თეთრი).



